



Newsletter: Tax & Legal

KPMG Georgia

Issue 2

March 2019

Amendments to the Labor Code

Amendments to the Anti - Discrimination Law

Amendments to the Law on Public Service

Changes in Tax Legislation

[Amendments to the Labor Code of Georgia](#)

On 25 February 2019, amendments to the Organic Law “Labor Code of Georgia” entered into force. The amendments modified rules for requesting information about candidates before conclusion of the labor agreement. In particular, according to the new edition of the Code, employers are entitled to request information about candidates unless such information is not connected to the candidate’s job performance or is not necessary for evaluation of the candidate’s ability to perform specific job. In addition, employers are prohibited from requesting information about candidates regarding their religion, belief, disability, sexual orientation, ethnicity and pregnancy except for the cases when such information is essential for performing the specific job.

The amendments also concern prohibition of any form of discrimination towards individuals within labor or pre-contractual relationships including vacancy announcement and selection process. According to the amendments, direct or indirect harassment of an individual, which aims at or results in insulting dignity of the individual as well as creating dreadful, hostile, degrading or humiliating environment and/or creating such environment, which directly or indirectly deteriorates his/her conditions compared to other individuals in the same conditions is considered as a discrimination. Besides termination of labor agreement or other negative treatment by the employer due to the employee applying relevant bodies with the complaint regarding his or her discrimination is prohibited.

[Amendments to the Law on Elimination of All Forms of Discrimination](#)

On 25 February 2019, amendments of the Law of Georgia on Elimination of all Forms of Discrimination entered into force. The amendments provide definition of the term “harassment” as any kind of persecution, compulsion and/or undesirable action towards an

KPMG Georgia provides tax and legal services. We develop individual approach to build models that meet your business specific needs.

individual which aims at or results in insulting dignity of the individual, creating dreadful, hostile, degrading or humiliating environment. Apart from this, the amendments determine application of equal treatment principle to all stages of employment and pre-contractual relationships, including determination of selection criteria and hiring conditions during pre-contractual relationships; any level of the professional hierarchy; conditions of employment, labor, compensation and termination of the labor agreement.

Amendments to the Law on Public Service

On 25 February 2019, amendments to the Law of Georgia on Public Service entered into force, which regulates obligation of public institutions to ensure enforcement of the equal treatment principle. According to the amendments, in order to ensure compliance with the equal treatment principle, public institutions are obliged to undertake certain measures, including to reflect the provisions prohibiting discrimination in their internal regulations and other documents and to ensure their enforcement.

Tax Legislation of Georgia

► The rules on automatic VAT refund have been established by the Order no. 42 of Minister of Finance of Georgia ('MOF') dated 14 February 2019. According to the rules, the overpaid VAT amount originated from the VAT declarations of January 2019 and subsequent periods (including in case of adjusted VAT declarations and/or late filing for that period) is subject to automatic refund considering the net balance of the taxpayer's individual tax card.

Only tax overpayment originated as a result of filed VAT declaration(s) is subject to automatic refund.

According to the statements made during public consultations, prior to VAT refund, VAT declaration(s) will be processed according to established procedures and risk criteria; if risk is identified the VAT declaration(s) will be subject to additional review/analysis by the Tax Authorities.

The general rules on tax refund apply to VAT overpayments accumulated prior to 1 January 2019.

- The following amendments to the Order no. 996 on Administration of Taxes of MOF were made in January-February 2019:
 - Tax registration procedures have been clarified for the entity representing Georgian (resident) entity due to having the place of management in Georgia (Order no. 4 of MOF dated 15 January 2019);

Kakha Rukhadze
Managing Partner,
Tax & Legal
+995 322 93 56 95
krukhadze@kpmg.com

Jaba Gvelebiani
Head of Legal,
Senior Manager
+995 322 93 56 95
jgvelebiani@kpmg.com

Ana Mardaleishvili
Senior Tax Consultant,
ACCA
+995 322 93 56 95
amardaleishvili@kpmg.com

KPMG Georgia LLC
5th floor, GMT Plaza,
4 Liberty Square
0105 Tbilisi, Georgia
www.kpmg.ge

- The rules for taxpayers' classification (small, medium and large) have been established. According to the statements made during public consultations, it mainly relates to the establishment of risk criteria/respective procedures and the improvement of risk management process by the Tax Authorities (Order no. 30 of MOF dated 5 February 2019);
- For automatic VAT refund, a new taxpayer request form including bank account requisites have been developed (Order no. 30 of MOF dated 5 February 2019);
- The changes of a technical nature have been made in the rules on filling a Tax Document (Order no. 31 of MOF dated 5 February 2019).

The information contained herein is of a general nature and is not intended to address the circumstances of any particular individual or entity. Although we endeavor to provide accurate and timely information, there can be no guarantee that such information is accurate as of the date, it is received or that it will continue to be accurate in the future. No one should act upon such information without appropriate professional advice after a thorough examination of the particular situation.



საგადასახადო და იურიდიული სიახლეები

KPMG Georgia

გამოცემა 2
მარტი, 2019

ცვლილებები „შრომის კოდექსში“

ცვლილებები ანტი-დისკრიმინაციულ კანონში

ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

ცვლილებები „საქართველოს შრომის კოდექსში“

2019 წლის 25 თებერვლიდან ძალაში შევიდა “საქართველოს შრომის კოდექსში” განხორციელებული ცვლილებები, რომლის საფუძველზე შეიცვალა დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების დადებამდე კანდიდატის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის წესი. კერძოდ, კოდექსის ახალი რედაქციის თანახმად, დამსაქმებელი უფლებამოსილია კანდიდატის შესახებ მოიპოვოს ინფორმაცია, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც არ არის დაკავშირებული კანდიდატის მიერ სამუშაოს შესრულებასთან ან კონკრეტული სამუშაოს შესრულების შესაძლებლობის შეფასებასთან. ამასთან, დამსაქმებლებს აკრძალა კანდიდატების რელიგიის, რწმენის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილებისა და ორსულობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ინფორმაციის მიღება აუცილებელია სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე.

ცვლილებები ასევე შეეხო შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისა და შერჩევის ეტაპზე, დისკრიმინაციის აკრძალვასაც. ცვლილებების თანახმად, დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროვება, რომელიც მიზნად ისახავს ან გამოიწვევს პირის ღირსების შელახვას, მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას ან/და ისეთი პირობების შექმნას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით. გარდა ამისა, დამსაქმებლებს აკრძალა დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ან უარყოფითი მოპყრობა დასაქმებულის მიერ დისკრიმინაციისაგან დასაცავად შესაბამისი ორგანოსათვის განცხადებით ან საჩივრით მიმართვის გამო.

KPMG Georgia გათავაზობთ საგადასახადო და იურიდიულ მომსახურებას. ჩვენ ინდივიდუალური მიდგომით ვაკეთებთ თქვენზე მორგებულ მოდელებს თქვენი ბიზნესის კონკრეტული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ცვლილებები „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში

“დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” საქართველოს კანონში 2019 წლის 25 თებერვალს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე განიმარტა „შევიწროვების“ მნიშვნელობა და დადგინდა, რომ „შევიწროება“ არის ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას. გარდა ამისა, ცვლილებების თანახმად, თანაბარი მოპყრობის პრინციპი გავრცელდა შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებზე, მათ შორის, წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე.

ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში

2019 წლის 25 თებერვალს “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის ვალდებულება განისაზღვრა საჯარო დაწესებულებებისთვის. ცვლილებების მიხედვით, საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან სამუშაო ადგილზე პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად მიიღონ ზომები მათ შორის, ასახონ დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები საჯარო დაწესებულებების შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყონ მათი შესრულება.

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

▶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 14 თებერვლის N42 ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა ზედმეტად გადახდილი დღგ-ის თანხის ავტომატური დაბრუნების წესი და პირობები. აღნიშნული წესით ავტომატურად დაბრუნებას დაექვემდებარება 2019 წლის იანვრის და მისი შემდგომი საანგარიშო პერიოდების მიხედვით წარდგენილი (მათ შორის ამ პერიოდზე დაგვიანებით წარდგენილი ან/და დაზუსტებული) დღგ-ის დეკლარაციებით წარმოქმნილი ზედმეტობა, გადამხდელის პირად ბარათზე არსებული სალდირებული ნაშთის გათვალისწინებით.

ავტომატური წესით დაბრუნებას არ დაექვემდებარება ზედმეტობა, რომელიც არ არის წარმოშობილი წარდგენილი დღგ-ის დეკლარაციით.

კახა რუხაძე

მმართველი
პარტნიორი,
საგადასახადო &
იურიდიული
დეპარტამენტი
+995 322 93 56 95
krukhadze@kpmg.com

ჯაბა გველებიანი

იურიდიული
დეპარტამენტის
ხელმძღვანელი,
უფროსი მენეჯერი
+995 322 93 56 95
jgvelebiani@kpmg.com

ანა მარდალეიშვილი

უფროსი
საგადასახადო
კონსულტანტი
+995 322 93 56 95
amardaleishvili@kpmg.com

შპს KPMG Georgia

თავისუფლების
მოედანი 4
მე-5 სართული
0105 თბილისი
საქართველო

საჯარო კონსულტაციებისას გაცხადებული პოზიციის მიხედვით, გადამხდელის მიერ წარდგენილი დღგ-ის დეკლარაციები გაივლის დამუშავების პროცესს რისკების კრიტერიუმების და დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ გადამხდელი უფლებამოსილი იქნება ავტომატურად დაიბრუნოს ზედმეტად გადახდილი დღგ-ის თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მიერ მოხდება წარდგენილი დეკლარაციების დამატებითი შესწავლა/ანალიზი.

2019 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი, ზედმეტად გადახდილი დღგ-ის დაბრუნებაზე ვრცელდება მოქმედი ზოგადი წესი.

- ▶ 2019 წლის იანვარ-თებერვალში რიგი ცვლილებები განხორციელდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანებაში:
- დაზუსტდა საქართველოში საგადასახადო აღრიცხვის პროცედურები იმ საწარმოსთვის, რომელიც საქართველოს საწარმოს (რეზიდენტს) წარმოადგენს მართვის ადგილის საქართველოში არსებობის გამო (ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 15 იანვრის ბრძანება N4);
- განისაზღვრა გადასახადის გადამხდელთა კატეგორიზაციის წესი (მცირე, საშუალო და მსხვილი გადამხდელები). საჯარო კონსულტაციებისას გაცხადებული პოზიციის მიხედვით, აღნიშნული კატეგორიზაცია მეტწილად დაკავშირებულია საგადასახადო ორგანოს მიერ რისკების კრიტერიუმების/შესაბამისი პროცედურების შემუშავებასა და რისკების მართვის პროცესის გაუმჯობესებასთან; (ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 თებერვლის ბრძანება N30);
- ზედმეტად გადახდილი დღგ-ის თანხის ავტომატურად დაბრუნების მიზნით შემუშავებული იქნა გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის ფორმა საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების მითითებით (ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 თებერვლის ბრძანება N30);
- ტექნიკური ხასიათის ცვლილება განიცადა საგადასახადო დოკუმენტის შევსების წესმა (ფინანსთა მინისტრის ბრძანება 2019 წლის 5 თებერვლის ბრძანება N31).

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია არის ზოგადი ხასიათის და არ არის განკუთვნილი კონკრეტული ინდივიდის ან ორგანიზაციის საჭიროებებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვცდილობთ მოაწოდოთ ზუსტი და დროული ინფორმაცია, წინამდებარე დოკუმენტი არ შეიძლება იქნას გაგებული, როგორც გარანტია, რომ ინფორმაცია ზუსტია დოკუმენტის თქვენ მიერ მიღების თარიღზე ან იქნება ზუსტი მომავალში. არავინ არ უნდა დაეყრდნოს აქ მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული შემთხვევის სათანადო ანალიზის შედეგად მიღებული პროფესიული რჩევის გარეშე.